

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**



**სამეცნიერო კონფერენცია
ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი
ედვინება დაბადებიდან 100 წლისთავს**

თეზისები

20 დეკემბერი, 2022

**ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის
ზოგიერთი საკითხი. II**

**SOME ISSUES OF THE DIFFERENTIATION OF THE
COMMON KARTVELIAN PARENT LANGUAGE. II**

რევაზ აბაშია

Revaz Abashia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, ფუძეენის რეკონსტრუქცია, ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის სქემა, შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი

Keywords: Kartvelian languages, reconstruction of parent language, differentiation scheme of Common Kartvelian parent Language, method of inner reconstruction, historical-comparative method


ქართველოლოგიაში გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც სვანურის ადრე გამოყოფის მიხედვით საერთოქართველური ფუძეების დიფერენციაციის „დეეტერსისეული სქემის“ შედგენის საფუძველი გახდა (მ. ჯანაშვილი, გ. დეეტერსი), ძირითადად ეყრდნობა განსხვავებული მორფოლოგიურ-ლექსიკური მოვლენების ანალიზს. არ არის გათვალისწინებული ფონოლოგიური და, საერთოდ, კომპლექსური ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგები, რაც აუცილებელია მონათესავე ენათა უძველესი სტრუქტურული მოდელის სანდო რეკონსტრუქციისათვის. ამასთანავე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, სათანადოდ არ არის გამოყენებული შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი, რომლის გარეშეც ცალკეული ენის (ამ შემთხვევაში – სვანურის) დიაქრონიულ ცვლილებათა დინამიკის გარკვევა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ვფიქრობთ, შინაგანი რეკონსტრუქციისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდების ერთობლივი გამოყენებით შესაძლებელია სვანურში წარმოდგენილი თავისებური, ქართულ-ზანურისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული ენობრივი მოვლენების სხვაგვარი ახსნა. კერძოდ, სვანურში სინქრონიულ დონეზე არსებული განსხვავებული ენობრივი ფაქტები არანაირად არ გულისხმობს დიაქრონიულ დონეზეც ამ მასალის ასეთივე განსხვავებულობას სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან შედარებით, ვინაიდან, როგორც ჩანს, ეს სხვაობა საერთოქართველური ფუძეებიდან სვანურის ადრე გამოყოფის შედეგი კი არ არის, არამედ – საკუთრივ სვანურში ისტორიულად განხორციელებული ტრანსფორმაციებისა. როგორც ირკვევა, სვანურში, ქართულ-ზანურისაგან განსხვავებით, იმდენად მასშტაბური სახე ჰქონდა ფონეტიკურ ცვლილებებს (უმლაუტიზაცია, აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია, სპირანტიზაცია...) და, აქედან გამომდინარე, მორფოლოგიურ-ლექსიკურ ცვლილებებსაც, რომ სვანურის სახით მივიღეთ „თავისებური ენობრივი ტიპი“.

ვფიქრობთ, საერთოქართველური ფუძეენა თავდაპირველად დაიშალა ორ – ქართულ და ზანურ-სვანურ – ენობრივ ერთეულად, ვინაიდან ზანურ-სვანურში თავს იჩენს მათთვის საერთო, მაგრამ ქართულისაგან განსხვავებული მოვლენები, განსაკუთრებით – ფონოლოგიის სფეროში (მაგ., საარტიკულაციო ადგილის გადაწევის შედეგად წინა რიგის თანხმოვნებიდან უკანა რიგის თანხმოვნების ჩამოყალიბება...). შემდგომ ეტაპზე ქართული კვლავაც არ განიცდის საერთოქართველური ფუძეენისაგან დიდად განსხვავებულ სტრუქტურულ ცვლილებებს, ზანურ-სვანურში კი ასეთი ცვლილებების ახალი ეტაპი იწყება (ხმოვანთა უკან გადაწევა ზანურში, თანხმოვანთა სისტემური ფონეტიკური ცვლილებები სვანურში, ასევე მორფოლოგიურ-ლექსიკური ცვლილებანი: აუსლაუტის გამარტივება სვანურში, მიმღეობურ და ვნებითის ფორმათა ახლებური წარმოება სვანურში...), რის შედეგადაც ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა იშლება ზანურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ენებად.

როგორც ზემოთ აღნიშნული, ისე – ქართველოლოგიაში ცნობილი სხვა თვალსაზრისების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის სქემა შეიძლება ასეთი სახით იყოს წარმოდგენილი:

საერთოქართველური ფუძეენა




The common viewpoint in Kartvelology, which became the basis for the “Deetersian scheme” of the differentiation of the Common Kartvelian parent language, supporting the earlier separation of Svan (M. Janashvili, G. Deeters), is mainly based on the analysis of different morphological and lexical occurrences. The results of phonological and, in general, complex historical-comparative research, which are necessary for the reliable reconstruction of the ancient structural model of kindred languages, are not taken into account. At the same time, what is also important, the method of internal reconstruction is not properly used, without which it becomes almost impossible to determine the dynamics of diachronic changes of a separate language (in this case – Svan).

The author believes that with the joint use of internal reconstruction and historical-comparative methods, it is possible to explain the peculiar linguistic occurrences in Svan, visibly different from Georgian and Zan. In particular, the different linguistic facts existing in Svan at the synchronic level do not in any way imply the same difference of this material at the diachronic level as compared to the data of other Kartvelian languages, since it seems that this difference is not the result of the earlier separation of Svan from the Common Kartvelian parent language, but – of the transformations carried out historically in Svan itself. As it turns out, in Svan, unlike Georgian and Zan, the phonetic changes (umlautization, affricatization, desaffricatization, spirantization...) and hence the morphological and lexical changes were so large-scale that Svan became a “specific language type”.

The author believes that the Common Kartvelian parent language was initially divided into two linguistic units – Georgian and Zan-Svan – since in Zan-Svan there are occurrences that are common to them, but different from Georgian, especially – in phonology (for example, the formation of back row consonants from front row ones as a result of shifting the place of articulation...). At a later stage, Georgian still

does not undergo structural changes that are very different from the Common Kartvelian parent language, and in Zan-Svan a new stage of such changes begins (vowel shifting to back in Zan, systemic phonetic changes of consonants in Svan, as well as morphological and lexical changes: simplification of auslaut in Svan, new ways of formation of passive and participle forms in Svan...), as a result of which the Zan-Svan linguistic unity breaks up into Zan (Megrelian-Laz) and Svan languages.

Taking into account both the above-mentioned and other standpoints known in the Kartvelology, the author believes that the differentiation scheme of the Common Kartvelian parent language can be presented in the following form:



ფონემათა დისტრიბუცია ქართულში
გავრცელებულ საკუთარ სახელებში:
ფონეტიკური სიმბოლიზმი?

CONSONANTS DISTRIBUTION IN GEORGIAN PERSONAL
PROPER NOUNS: PHONETIC SYMBOLISM?

რუსუდან ასათიანი
Rusudan Asatiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფონეტიკური სიმბოლიზმი, ფონემათა
დისტრიბუციული ანალიზი, ენობრივ მონაცემთა
სტატისტიკური ანალიზი

Keywords: phonetic symbolism, distributional analysis, statistical
analysis of language data

ფსიქოლინგვისტიკის ერთ-ერთ საკვანძო თემას წარმოადგენს სახელდების საფუძვლების კვლევა და აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს ე.წ. ფონეტიკური სიმბოლოზმის ფენომენი, რომლის შესწავლა ექსპერიმენტული მიდგომითა და/ან ფონემათა დისტრიბუციული ანალიზით არის შესაძლებელი.

ამ ფენომენის საკვლევად გაანალიზდა ქართულში გავრცელებულ საკუთარ (ადამიანთა) სახელებში თანხმოვანთა დისტრიბუცია და გენდერული სხვაობის ფონზე ჩატარებული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ქაღთა საკუთაჲ სახედებში მნიშვნელოვნად ჭახობს **h, d, m, n** სონოჲი თანხმოვნები, ხოლო მამაკაცთა სახედებში – სპიჲანტები, ბშუდები და აფჲიკატები (უმეტესად, მკვეთჲები).

ამგვარი განაწილება საფუძველს გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ ერთი თეორიული ხასიათის განზოგადება: ადამიანთა საკუთარ სახელებში ფონემათა განაწილება განპირობებულია **ფონეტიკუჲი სიმბოლიზმით**.

ლიტერატურა:

- ბანდურაშვილი აკ. (1971).** სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბილისი.
- გუდავა ტ. (1958).** ხმაბადვის ერთი სახეობა მეგრულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები, თბილისი.
- Jakobson R. and Waugh L. (1979).** The Sound Shape of language, Bloomington, Ind: Indiana University Press.
- Sapir E. (1929).** A Study in Symbolism. In: Journal of Experimental Psychology, 12, pp. 225-239.
- Usnadze D. (1924).** Ein Experimentelle Beitrag zum Probleme des psychologischen Grundlagen der Namengebung, in: Psychologischen Forschungen 5, p. 24-43.

Based on statistical analysis of consonants' distribution in Georgian Proper Nouns and taking into account gender differences some generalizations might be suggested: *Female proper nouns mostly represent r, l, m, n sonorant consonants, while male proper nouns – fricatives, occlusives and affricates (mostly glottalized ones)*. The statistic data give arguments to interpret consonants distribution as some kind of **Phonetic Symbolism**:

Female nouns symbolizing general image of females' soft nature are represented by soft, sonorant sounds, while male nouns symbolizing general image of males' (physical strength, power, rudeness, and so on) – by sharp, abrupt, cleft sounds.

The paper presents tables showing statistic data reflecting appearances of various consonants in Georgian Proper Nouns.

References:

- Baindurashvili Ak. (1971).** sakheldebis eksperimentuli psikologia [Experimental Psychological Study of Naming processes], Tbilisi.
- Gudava T. (1958).** khmabadzvis erti sakheoba megrulshi [One Kind of Onomatopoeic Verbs in Megrelian], Abstracts of IL scientific session.
- Jakobson R. and Waugh L. (1979).** The Sound Shape of language, Bloomington, Ind: Indiana University Press.
- Sapir E. (1929).** A Study in Symbolism. In: Journal of Experimental Psychology, 12, pp. 225-239.
- Usnadze D. (1924).** Ein Experimentelle Beitrag zum Probleme des psychologischen Grundlagen der Namengebung, in: Psychologischen Forschungen 5, p. 24-43.

კვლავ მეგრული „კუდიანი“ ანბანის შესახებ AGAIN ABOUT THE MEGRELIAN “TAILED” ALPHABET

თინათინ ბოლქვაძე
Tinatin Bolkvadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, მეგრული ენა, მეგრული ანბანი, რუსეთის ენობრივი პოლიტიკა საქართველოში, ენათა იერარქია

Keywords: Georgian language, Megrelian language, Megrelian alphabet, Russian language policy in Georgia, Language hierarchy

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარის (ცირკულარი 1885) მიხედვით, რომელიც დაეგზავნა სენაკისა და ზუგდიდის პირველდანყებითი სასოფლო სკოლების მასწავლებლებს, სამეგრელოს სკოლებში იგნორირებული იყო მეგრული, რომელიც ამ მხარეში მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობის ძირითადი ენაა. ამის ნაცვლად, ერთდროულად ორი უცხო ენა ისწავლებოდა: ქართული და რუსული. შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად სწავლება უნდა გამხდარიყო მეგრულ-რუსული, რითაც შესრულდებოდა ადგილობრივ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების სახელმწიფო პოლიტიკის მოთხოვნა.

ქართული უნდა განდევნილიყო სამეგრელოს სკოლებიდან, რაც გამოათავისუფლებდა დროს ლოცვებისა და საღმრთო ისტორიის რუსულად სწავლებისათვის. მეგრული ანბანისთვის უნდა გამოეყენებინათ რუსული ანბანი, რომელიც დაეხმარებოდა სამეგრელოში ორენოვანი, მეგრულ-რუსული სწავლების საქმეს. ამას გარდა, იგი გამოყენებული იქნებოდა მეგრულად თარგმნილი რელიგიური ტექსტების ჩასაწერად და გამოსაქვეყნებლად, მეგრული ყოველდღიური გაზეთისა და სამეგრელოს სკოლებისთვის შექმნილი მეგრული სახელმძღვანელოებისათვის.

მეგრული ანბანის შესაქმნელად შეირჩა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტიდან ალექსი ნიკოლოზის ძე გრენი, რომელიც მუშაობდა აკადემიკოს რადლოვის ხელმძღვანელობით. „მეგრული ანბანის გამოცემისას, მე ამასთანავე მხედველობაში მქონდა, – წერს გრენი, – თუმცა არა პირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამომენვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითვლებიან. და, მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური აღფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრული თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი, და ბოლოს, უაღფაბეტოთ შეუძლებელია რაიმე მეცნიერება, ცივილიზაციის

რაიმე ნაპერწკალიც კი“ (საარქივო დოკუმენტი; რუხაძე 1939; რუხაძე 1951). ამის პარალელურად ანბანს ქმნის თადა აშორდია, რომელიც დამოუკიდებლად ამ საქმეს ვერ შეასრულებდა.

მოხსენებაში განხილულია ხონში გამოცემული ორენოვანი – მეგრულ-რუსული წიგნისთვის (პეტროვი) ნამძღვარებული მეგრული ანბანი, რომელიც მოიხსენიება „კუდიანი“ ანბანის სახელით. ეს სახელი ერთი მხრივ, ირონიულია, მისი არაკეთილსინდისიერი მიზნების – საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან დაპირისპირებისა და სეპარატისტული მოძრაობის გაღვიძების გამო – და, მეორე მხრივ, ასახავს ამ ანბანის ძირითად გრაფიკულ მახასიათებელს – კირილიცას ნიშნებისთვის „კუდების“ დამატებას (ბოლქვაძე 2011). იმავე წიგნში ხაზგასმულია, რომ ეს ანბანი, რომელიც თადა აშორდიას მონაწილეობით უნდა იყოს შექმნილი, ეკუთვნის რუსეთის საიმპერატორო აკადემიას (პეტროვი).

მოხსენებაში განიხილება მეგრული კუდიანი ანბანის შედგენის ფონეტიკური და გრაფიკული მახასიათებლები და ის სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც შეიქმნა ეს ანბანი.

ლიტერატურა:

ბოლქვაძე, თ. (2011). ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა:

ილიას „ივერია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი

პეტროვი, ი. Мингрельские тексты записаны и передеведена на русский языкъ подъ наблюдениемъ Ив. Е. Петрова, учителя Кутайский (въ М. Хони) учительской семинаріи.

საარქივო დოკუმენტი (1885). საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 107, საქმე 1746.

ცირკულარი (1885). 1885 წლის 11 იანვრის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ცირკულარი იანვრის 11-ს, 1885 წ. #62 (ბბ. მასწავლებელთ სენაკისა და ზუგდიდის პირველდარწყებითი სასოფლო სკოლებისა), გაზეთი „დროება“, 59, 1885.

ხუნდაძე, ტრ. (1939). ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

ხუნდაძე, ტრ. (1951). ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი

In the circular of the director of public schools of the Kutaisi province dated January 11, 1885, sent to the teachers of the elementary schools of Senaki and Zugdidi (Circular, 1885), it was mentioned that the Megrelian language, which is the main language of the absolute majority of the inhabitants of this region, is ignored in the schools of Samegrelo. Instead, two foreign languages are taught simultaneously: Georgian and Russian. To improve the current situation, teaching should become Megrelian-Russian, thereby fulfilling the requirement of state policy to improve the teaching of the Russian language in local schools.

Georgian language should be excluded from schools in Samegrelo, which will free up time for teaching prayers and theology in Russian. The Russian alphabet was to be used for the Megrelian alphabet, which would help the bilingual Megrelian-Russian education in Samegrelo. In addition, it will be used to record and publish religious texts translated into the Megrelian language for the Megrelian daily newspaper and Megrelian textbooks for Samegrelo schools.

Aleksey Gren, who worked under the guidance of Academician Radlov, was selected from the Faculty of Oriental Languages of St. Petersburg University to create the Megrelian alphabet. “When publishing the Megrelian alphabet, I also had this in mind,” writes Gren, “although not directly, I somehow challenged the Megrelians for the national struggle, who are oppressed by stronger Georgian people. Indeed, such a struggle is absolutely impossible without the possession

of its own alphabet, with the help of which Megrelian expresses his thoughts in the same way as his enemy, in this case the Georgian, and, finally, without the alphabet, any science, even a spark of civilization, is impossible “(Archival Document, Rukhadze 1931, Rukhadze 1951). In parallel with this, the alphabet is created by Tada Ashordia, who could not do this work on his own.

The paper deals with the Megrelian “tailed” alphabet which is used in Megrelian-Russian book published in Khoni under the supervision I. Petrov, teacher of the Kutaisi Teacher’s Seminary (Petrov). This name – Megrelian “tailed” alphabet, on the one hand, is ironic, due to its ulterior motive – pitting different parts of Georgia against each other and awakening the separatist movement in Samegrelo, and on the other hand, it reflects the main graphic feature of this alphabet – the addition of “tails” to Cyrillic characters (Bolkvadze 2011). In the same book, it is emphasized that this alphabet, which might be created with the participation of Tada Ashordia, belongs to the Russian Imperial Academy (Petrov).

The paper deals with the phonetic and graphic features of the Megrelian tail alphabet, as well as the social and political context in which this alphabet was created.

References:

- Archival document (1885).** Central Archive of Georgia, Fund 107, File 1746. (In Georgian).
- Bolkvadze, T. (2011).** Forging of Georgian National Identity: Ilia’s Iveria. (In Georgian).
- Circular (1885).** January 11, 1885 Circular of the director of public schools of Kutaisi province on January 11, 1885. #62 (Teachers of Senaki and Zugdidi primary schools), Newspaper Droeba, 59, 1885. (In Georgian).
- Khundadze, Tr. (1939).** Trifon Khundadze, Educational Policy of Tsarism in Georgia (80s), Scientific Research Institute of Primary and Secondary School, Institute Publishing House, Tbilisi. (In Georgian).

Khundadze, Tr. (1951). Trifon Khundadze, Essays from the History of Public Education in Georgia (19th Century), Institute of Pedagogical Sciences of the Ministry of Education of the SSR of Georgia, Publishing House of the Institute, Tbilisi. (In Georgian).

Petrov, I. The Mingrelian texts written and translated into Russian under the supervision of Iv. E. Petrova, teacher of the Kutasi (in M. Khoni) teacher's seminary. (In Russian).

ეტიმოლოგიური ძიებანი: კაცი, ადამიანი

ETYMOLOGICAL RESEARCH:
k'aci (MAN), *adamiani* (HUMAN)

მარინე ივანიშვილი

Marine Ivanishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, ეტიმოლოგია,
ტიპოლოგია

Keywords: Kartvelian Languages; Etymology; Typology

-იან (ქონების გამომხატველი სუფიქსი ქართულში) მიღებულია -იან მანარმოებლისგან, რომლის ფუნქცია ძველ ქართულში უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტ-იან-ი, მაჰმად-იან-ი და სხვ. (შანიძე 1953, 1976).

ადამიან-ი, ადამის შთამომავალი, გონიერი არსება.

ძვ. ქართ. ადამ-იან-ი (A-1105, 83v – აბულაძე, 1973: 2) და ადამ-იან-ი (A-162, 15v – სარჯველაძე, 1995: 1). ნაწარმოებია საკუთარი სახელისგან ადამ-იან-ი სუფიქსით. ძვ. ქართულში ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივია კაცი.

კაც-ი „ადამიანი; მამაკაცი“ წერილობით ფიქსირებულია V საუკუნიდან და საერთოქართველური წარმომავლობისაა:

ქართ. კაც- კაც-ი „კაცი; ქმარი“ : მეგრ. კორ- კორ-ი „კაცი; ქმარი“ : ლაზ. კორ- კორ-ი „კაცი; ქმარი“; კორ-ონ-ი კორ-ი „კაცური კაცი“ : სვან. ჭაშ-/ჭშ- ჭაშ „ქმარი“; ჭაშ-დაქ/ლე-ჭშ-გრ-ი „საქმრო“ ფარდობის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეენის დონისთვის აღდგენილია არქეტიპი *კაც- (ჩიქობავა 1938; Климов 1964; ფენრიხი, სარჯველაძე 2000; Fähnrich 2007; ქურდიანი 2007; ჩუხუა 2008; გიგინეიშვილი 2016).

ნაშრომში განხილული იქნება დასახელებულ ცნებათა გაგებასთან დაკავშირებული საკითხები და ტიპოლოგიური პარალელები სხვადასხვა ენიდან.

ლიტერატურა:

აბულაძე, ილ. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

გიგინეიშვილი, ბ. (2016). ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

სარჯველაძე, ზ. (1995). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ. (2000). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქურდიანი, მ. (2007). იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თსუ, თბილისი.

- შანიძე, აკ. (1953, 1976).** ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1938).** ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.
- ჩუხუა, მ. (2008).** იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თსუ, თბილისი.
- Климов, Г. (1964).** Этимологический словарь картвельских языков. М.
- Fähnrich, H. (2007).** Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Brill, Leiden, Boston.

-ian (possesive suffix in Georgian) is derived from the marker *-ean*, the function of which in the Old Georgian should have been to indicate the origin from someone from which the understanding of possession and succession should have developed: *krist'-ian-i* (Christian), *mahmad-ian-i* (Muslim), etc. (Shanidze 1953, 1976).

adamian-i (human), a descendant of Adam, a rational being.

Old Geo. *adam-ean-i* (A-1105, 83v – Abuladze, 1973: 2) and *adam-ian-i* (A-162, 15v – Sarjveladze, 1995: 1). It is derived from the proper name Adam with the suffix *-ean/-ian*. In the Old Georgian, *k'aci* (man) is common in this sense.

k'ac-i, “human; man” has been recorded since the 5th century. It is of common Kartvelian origin.

Based on the correspondence Geo. *k'ac-* *k'ac-i* “man; husband”: Megr. *k'oč-* *k'oč-i* “man; husband” : Laz. *k'oč-* *k'oč-i* “man; husband”; *k'oč-on-i* *k'oč-i* “manly (real) man” : Svan. *č'äš-* / *č'š-* *č'äš* “husband”; *č'äš-jak/le-* *č'š-g-r-i* “fiancé” for the common Kartvelian level **k'ac₁-* archetype is reconstructed (Chikobava 1938; Klimov 1964; Fähnrich, Sarjveladze 2000; Fähnrich 2007; Kurdiani 2007; Chukhua 2008; Gigineishvili 2016).

Issues related to the understanding of the named concepts and typological parallels from different languages will be discussed in the paper.

References:

- Abuladze, I. (1973).** dzveli kartuli enis leksikoni. [Dictionary of the Old Georgian Language], Tbilisi.
- Chikobava, Arn. (1938).** chanur-megrul-kartuli shedarebiti leksikoni. [Chan-Megrelian-Georgian Comparative Dictionary], Tbilisi.
- Chukhua, M. (2008).** iberiul-ichkeriul enata shedarebiti gramatika. [Comparative Grammar of the Iberian-Ichcheric Languages], Tbilisi.
- Fähnrich, H. (2007).** kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Brill, Leiden, Boston.
- Fähnrich, H., Sarjveladze, Z. (2000).** kartvelur enata etimologiuri leksikoni. [Etymological Dictionary of the Kartvelian Languages], Tbilisi.
- Gigineishvili, B. (2016).** kartuli enis istoriul-etimologiuri leksikoni. [Historical-Etymological Dictionary of the Georgian Language], Tbilisi.
- Климов, Г. (1964).** Этимологический словарь картвельских языков. М.
- Kurdiani, M. (2007).** iberiul-kavkasiuri enatmetsnierebis sapudzvlebi. [Foundations of Iberian-Caucasian Linguistics], Tbilisi.
- Sarjveladze, Z. (1995).** dzveli kartuli enis leksikoni. [Dictionary of the Old Georgian Language], Tbilisi.
- Shanidze, A. (1953, 1976).** kartuli enis gramatikis sapudzvlebi. [Basis of the Grammar of the Georgian Language], Tbilisi.

ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი
TOGO GUDAVA – SCHOLAR AND TEACHER

ივანე ლეჟავა
Ivane Lezhava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ენათმეცნიერება, ქართველოლოგია,
კავკასიოლოგია

Keywords: linguistics, kartvelology, caucasusology

ტოგო გუდავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება დაამთავრა 1945 წელს, 1945-1948 წლებში იგი სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში კავკასიური ენების სპეციალობით. ტოგო გუდავამ საკანდიდატო დისერტაცია – „ბოთლიხური ენის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ – დაიცვა 1948 წელს, ხოლო 1964 წელს – სადოქტორო დისერტაცია „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“. ტოგო გუდავა 1950 წლიდან იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, 1966 წლიდან კი შეთავსებით – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის პროფესორიც; წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა საენათმეცნიერო დისციპლინაში: „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, „ხუნძური ენა“, „ზანური ენა“.

ტოგო გუდავა 90-მდე ნაბეჭდი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის მნიშვნელოვანი მონოგრაფიებია: „ხუნძურ და ანდიურ ენათა ზმნური ფუძეების შედარებითი ანალიზი“, „ბოთლიხური ენა. გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი“, „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“, „ბაგვალური ენა“, „დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“, „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება“.

ტ. გუდავას შრომათა უმრავლესობა ეძღვნება დაღესტნის ენათა სინქრონიულ და დიაქრონიულ კვლევასა და ქართველური ენების ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის პრობლემებს.

2013 წელს ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებში“, რომელიც ეძღვნებოდა ტოგო გუდავას დაბადებიდან 90-ე წლისთავს, გამოქვეყნდა მისი სამეცნიერო შრომების სრული ბიბლიოგრაფია; დასაწინაა, რომ მათ შორის მრავლად არის ენათმეცნიერებისათვის მეტად ღირებული გამოუქვეყნებელი ხელნაწერებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ტოგო გუდავა 54 წლის ასაკში 1976 წელს გარდაიცვალა, განუზომელია მისი წვლილი ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში.

Togo Gudava graduated from Tbilisi State University, Faculty of Philology, Department of the Caucasian Languages in 1945. From 1945 to 1948 he studied at the post-graduate course of the Institute of Linguistics of the Academy of Sciences of Georgia, with a specialty in the Caucasian languages. In 1948 Togo Gudava defended his Ph.D. thesis – *Main Morphological Categories of the Botlikh Language* and in 1964 – his doctoral thesis *Consonant System of the Andic Languages*. From 1950 Togo Gudava was a research worker at the Institute of Linguistics, and from 1966 – also a professor of the Chair of Structural and Applied Linguistics of Tbilisi State University; over the years he delivered lectures in various linguistic disciplines: Comparative Grammar of the Kartvelian Languages, the Avar Language, the Zan Language.

Togo Gudava is the author of up to 90 printed scholarly papers, including significant monographs: *Comparative Analysis of Verb Stems of the Avar and the Andic Languages; the Botlikh Language. Grammatical Analysis, Texts, Glossary; Consonant System of the Andic Languages; the Bagvalal Language; Historical-Comparative Analysis of Consonant System of the Dido Languages; Georgian Orally Transmitted Folklore*.

Most of T. Gudava's works are devoted to the synchronic and diachronic research of the Dagestan languages and problems of historical phonetics and morphology of the Kartvelian languages.

In 2013, in the journal *Issues of Linguistics*, dedicated to the 90th anniversary of the birth of Togo Gudava, the complete bibliography of his scholarly works was published; it is regrettable that it includes numerous unpublished manuscripts that are very valuable for linguistics.

Although Togo Gudava died at age 54 in 1976, his contribution to Kartvelian and Caucasian Studies is immense.

კავკასიის ალბანური ლექსიკა
(ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)

CAUCASIAN ALBANIAN VOCABULARY
(HISTORICAL-COMPARATIVE ANALYSIS)

რომან ლოლუა

Roman Lolua

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ალბანური ენა, ლექსიკოლოგია,
კავკასიის ენები

Keywords: Albanian language, lexicology, languages of Caucasus

კავკასიის ალბანური ენის ლექსიკა კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს ავლენს სხვა ლეზგიურ, დაღესტნურ და იბერიულ-კავკასიური ოჯახის სხვა ჯგუფების ენებთან. კავკასიის ალბანურში საერთოლეზგიურ ლექსიკას განეკუთვნება ადამიანის სხეულის ნაწილების, ნათესაობის, ადამიანის საქმიანობისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი და ადამიანთან დაკავშირებული სხვა სახელები, ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი სახელები, ნაგებობების, სურსათის, დროის ერთეულების, არაცოცხალი ბუნებისა და მის მოვლენათა აღმნიშვნელი სახელები, ნაცვალსახელები (პირის, ჩვენებითი, უკუქცევითი, კითხვითი), რიცხვითი სახელები (ერთიდან ცხრამდე, ათი, ოცი, ასი), ძირითადი ზედსართავი სახელები, ზმნისართები, ზმნები, ნაზმნარი სახელები...

ბგერათშესატყვისობათა ფორმულებში კავკასიის ალბანური და უდიური, იშვიათი გამონაკლისების გარდა, წარმოდგენილია ერთნაირი რეფლექსებით. ძირითადი ფონეტიკური პროცესები, რომელთა შედეგად ჩამოყალიბდა კავკასიის ალბანურისა და უდიურის ფონოლოგიური სისტემები, იდენტურად წარიმართა. აფრიკატებში უნდა აღინიშნოს შემდეგი ძირითადი ფონეტიკური ცვლილებები: დაიკარგა სუსტი (როგორც მკვეთრი, ისე არამკვეთრი) აფრიკატები ანლაუტსა და ინლაუტში. უდიურში ეს პროცესი დასრულდა, ხოლო კავკასიის ალბანურში დასრულების სტადიაში იყო. აუსლაუტში მოხდა სუსტი არამკვეთრი აფრიკატების სპირანტიზაცია, ხოლო სუსტი მკვეთრი აფრიკატები უცვლელადაა შემორჩენილი. რაც შეეხება ინტენსიურ აფრიკატებს, ისინი შემონახულია ორივე ენაში, იმის გათვალისწინებით, რომ ინტენსივობის მიხედვით კორელაცია მოიშალა. ამას გარდა, ორივე ენაში მოხდა მჟღერი აფრიკატების სპირანტიზაცია. ლატერალური აფრიკატები გადავიდნენ შესაბამის უვულარულ აფრიკატებში (*ლ'-ს გარდა, რომელმაც სპირანტიზაცია განიცადა). ხშულ-მსკდომები ძირითადად უცვლელადაა დაცული, თუ არ ჩავთვლით

*ზ ბგერას, რომელიც კავკასიის ალბანურსა და უდიურში, როგორც წესი, გვაძლევს ჯ-ს.

სპირანტებში ორი ძირითადი ცვლილება განხორციელდა. მოიშალა ინტენსივობის მიხედვით კორელაცია და ლატერალური სპირანტები გადავიდნენ ყრუ უვულარულ სპირანტში (b).

სონორები, ძირითადად, უცვლელადაა დაცული.

The common Lezgian vocabulary in the Caucasian Albanian includes the words denoting parts of a human's body, relatives, activities, status and other words relating to the human being as well as the words denoting flora, fauna, building, food, units of time, inanimate creations, natural phenomena, pronouns (personal, demonstrative, reflexive, interrogative), numerals (from one to nine, ten, twenty, hundred), adjectives, adverbs, verbs, deverbative nominals...

In the sound-correspondences the Caucasian Albanian and Udi, with few exceptions, are represented with similar reflexes. Basic phonematic processes as a result of which the phonological systems of Caucasian Albanian and Udi, took place identically. In affricates the following phonetic changes should be underlined: weak (glottalized as well as non-glottalized) affricates were lost in anlaut and inlaut. In Udi this process was completed, but in Caucasian Albanian it was in the stage of completion. In auslaut the spirantization of weak non-glottalized affricates took place, as regards the weak glottalized affricates, they didn't undergo changes. With respect to the intensive affricates, they are preserved in both languages due to the fact that correlation has been demolished according to intensivity. Additionally, the spirantization of voiced affricates took place in both languages. Lateral affricates were transformed into corresponding uvular affricates (except *tʃ, which underwent spirantization).

Plosives are basically preserved unchangeably, except a *g sound which as a rule occurs in Caucasian Albanian and Udi as Ʒ.

In spirants two basic changes took place. Correlation according to intensity has been demolished and lateral spirants were changed into unvoiced uvular spirants (**x**).

Sonors are basically preserved unchangeably.

**სინტაქსური საზღვრის გადაწევის საკითხი
მეგრულში -ნი კავშირ-ნანილაკიანი
ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მიხედვით***

**THE ISSUE OF MOVING THE SYNTACTIC BOUNDARY
IN MEGRELIAN BASED ON THE HYPOTACTIC
CONSTRUCTION WITH CONJUNCTION-PARTICLE
-ნი /-ni/****

მაია ლომია

Maia Lomia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, კავშირ-
ნანილაკი, მეგრული ენა

Keywords: hypotactic construction, conjunction-particle,
megrelian language

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) საგრანტო პროექტის FR-21-352 ფარგლებში.

** The research was carried out with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). Grant number FR-21-352.

-ნი მაქვემდებარებელი კავშირ-ნაწილაკია მეგრულში. იგი პოლისემანტიკური მნიშვნელობისაა და ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით ყველაზე ახლოს დგას ქართულის „რომ“ კავშირთან. მეგრულში წევრკავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტთა განლაგების ოთხი შესაძლო შემთხვევა დასტურდება; აქედან სამი საერთოა ქართულთან, ხოლო მეოთხე – მთავაჰი+დამოკიდებული+კოხედაგი სპეციფიკურია მეგრულისთვის.

-ნი კავშირიან ქვენყობილ წინადადებაშიც თავისებურებას ქმნის პროსოდიულად მარკირებული დამოკიდებული წინადადება და კორელატის პოზიცია; კერძოდ, -ნი კავშირ-ენკლიტიკა დაერთვის დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს, რომელსაც მოსდევს კორელატი; ამიტომ მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების განლაგება შემდეგი სახისაა:

ა. მთავაჰი+დამოკიდებული+კოხედაგი:

(1) ბოშიქ დო ძღაბიქ ქიდირულეს, ქილაყაფესგ.V-ნი.SUB უკული.CORR (ხუბუა: 207, 34-35) „ბიჭმა დო გოგომ დაიძინეს, რომ ითამაშეს მერმე“.

ბ. დამოკიდებული+კოხედაგი+მთავაჰი:

(2) ოსერშექ გეეთუ.V-ნი.SUB უკული.CORR, თე ბოში მიდეყონეს დანჯირუშა (ხუბუა: 280, 24) „ვახშამი რომ დამთავრდა მერმე, ეს ბიჭი წაიყვანეს დასაწოლად“.

ორივე შემთხვევაში ტრადიციული სინტაქსური საზღვარი გადაწეულია: -ნი კავშირიანი ზმნა-შემასმენელი კორელატთან ქმნის სინტაგმას, რაც ერთი საერთო ინტონაციით ფორმდება. საანალიზო სტრუქტურები განსხვავებულია, თუმცა სინტაქსური საზღვრის გადაწევის საფუძველი ორივე მათგანში ერთგვაროვანია, რაც განპირობებულია -ნი კავშირისა და კორელატის კონტაქტური პოზიციით.

ლიტერატურა:

აბესაძე, ნ. (1963). „რომ“ კავშირი ქართველურ ენებში. თსუ შრომები. ტომი 96. თბილისი.

ბოედერი, ვ. (2001). პროტასისი და აპოდოსისი ქართველურ ენებში (გერმანულ ენაზე). ვარლამ თოფურია-100. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლოშია, მ. (2005). ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ხუბუა, მ. (1937). მეგრული ტექსტები. ტფილისი.

In Megrelian, *-ნი /-ni/* is a subordinating conjunction-particle. It is polysemantic and, from the functional-semantic viewpoint, is closest to the Georgian conjunction „რომ“ /rom/ “that”. In Megrelian, there are four possible cases of distribution of the main and subordinate components in hypotactic constructions with member-conjunctions. Out of these four, three cases are similar to Georgian, whereas the fourth—*main clause+subordinate clause+correlate* is specifically Megrelian.

The peculiar features of the subordinate clauses with conjunction *-ნი /-ni/* are the prosodically marked subordinate clause and the position of the correlate. In particular, the conjunction enclitic *-ნი /-ni/* is added to the verb-predicate of the subordinate clause, which is followed by the correlate. Therefore, the order of the main and subordinate components is as follows:

a. main clause+subordinate clause+correlate:

(1) bošik do zyabik kidirules, **kila'apesə.V-ni.SUB ukuli.CORR** (Khubua:207, 34-35)

“The boy and the girl fell asleep after they had played”.

b. subordinate clause+correlate+main clause:

(2) oseršek **geetu.V-n.SUB ukuli.CORR**, te boši mide'ones danžiruša (Khubua:280, 24)

“When the supper was over, the boy was taken to bed”.

In both cases, the traditional syntactic boundary is moved: the verb-predicate with the conjunction *-ნი /-ni/* forms a syntagm with the correlate. All this is pronounced with one common intonation. The

structures under analysis are different, although they have similar grounds for moving the syntactic boundary. This is due to the contacting position of the conjunction *-ḡn /-ni/* and the correlate.

References:

- Abesadze, N. (1963).** „rom“ kavshiri kartvelur enebshi. [The Conjunction rom “that” in Kartvelian languages]. Scholarly Papers of Tbilisi State University, v. 96. Tbilisi.
- Boeder, W. (2001).** Protasis and apodosis in the Kartvelian languages (in German). Varlam Topuria-100. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- Lomia, M. (2005).** hipotaksis sakitxebi megrulshi. [The Issue of Hypotaxis in Megrelian]. Tbilisi: Publishing House “Universali”.
- Khubua, M. (1937).** megruli tekstebi. [Megrelian Teksts]. Tbilisi.

Abbreviations:

V- Verb

SUB – Subordinate

CORR – Correlate

**-მცა (-ოღჳ -ოჴ) ნანილაკიანი ფორმები
და მისი მიმართება ჰიპოტაქსურ
კონსტრუქციასთან***

**THE FORMS WITH -mca (-oyw, -ow) PARTICLE AND ITS
RELATIONSHIP WITH HYPOTACTIC CONSTRUCTION****

ქეთევან მარგიანი

Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ნანილაკი, არქაულობა, ჰიპოტაქსი
Keywords: particle, archaism, hypotaxis

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“ (FR-21-352) ფარგლებში.

** The work was carried out within the framework of the project “Information structure and hypotactic models of the Kartvelian languages” (FR-21-352) funded by Shota Rustaveli National Science Foundation.

სვანური ენაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც არქაულობა, ისე ინოვაციურობა, ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია -ოღჷ / -ოჷ (-მცა) ნაწილაკის ფუნქციები და მისი მიმართება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციასთან.

ცნობილი თვალსაზრისის თანახმად (შ. ძიძიგური), ქვეწყობა და მაქვემდებარებელკავშირიანი შეერთება მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის ენის განვითარების შედარებით გვიანდელ ეტაპს ასახავს. ამ თეორიას მხარს უჭერს სვანური ენის მონაცემები, რამდენადაც უკავშირო შეერთება ამ ენაში დღესაც ჩვეულებრივი მოვლენაა (განსაკუთრებით ბალსქვემოურ დიალექტში, რომელიც სვანური ენის დიალექტთა შორის ყველაზე ნაკლებად განიცდის სალიტერატურო ენის გავლენას).

როგორც ცნობილია, თანამედროვე სალიტერატურო ენაში -მცა ნაწილაკი ძირითადად ფრაზეოლოგიაში, გაქვავებულ ფორმებში და ზეპირ მეტყველებაშია (თუმცა, ისემც, ნეჭამც...) თუ იჩენს თავს.

ამ თვალსაზრისით სვანურში მკვეთრად განსხვავებული ვითარებაა; ცხადია, ზმნის კავშირებითი კილოს ფორმები (რამაც ჩაანაცვლა ქართულში მცა' ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ზმნები) სვანურსაც მოეპოვება, მაგრამ ისინი გაცილებით ნაკლებპროდუქტიულია ქართულთან შედარებით, ხოლო -მცა (-ოღჷ, -ოჷ) ნაწილაკიანმა ფორმებმა სრულად შეინარჩუნეს აქტუალობა თხრობითი კილოს გამომხატველ მწკრივებთან.

საანალიზო ნაწილაკის ფუნქციები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ა. მარტივ წინადადებაში, ქართულის მსგავსად, ნატვრის შინაარსს განაპირობებს, ამიტომაც ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები (წყველა-დალოცვის ფორმულები, სადღეგრძელოების ლექსიკა...) ყოველთვის შეიცავენ საანალიზო ფორმებს;

ბ. შეუძლია ჩაანაცვლოს სხვათა სიტყვის ნაწილაკები;

გ. როთულ ქვეწყობილ წინადადებაში მეორე თურმეობითთან ერთად განაპირობებს უკავშირო შეერთებას.

აღნიშნული ტიპის კონსტრუქციის შენარჩუნებას სვანურ ზეპირმეტყველებაში, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ:

1. სვანურ ენაში ქართულისგან განსხვავებული ინფერენციული მწკრივების არსებობამ, რომლებიც პირობითობის (საეჭვოობის, დაუდასტურებლობის) გაგებას თავად შეიცავენ და აღარ საჭიროებენ სათანადო კავშირს (რომ, თუ, თუკი...);

2. -მცა (-ოღჷ, -ოჷ) ნაწილაკიან კონსტრუქციათა აქტუალობამ თანამედროვე სვანურ მეტყველებაში.

ამრიგად, -მცა ნაწილაკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სინტაქსურ ფუნქციად შეიძლება ჩავთვალოთ უკავშირო ქვეწყობისთვის წინაპირობის შექმნა; ეს კი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია დიაქრონიის თვალსაზრისით, რადგან ის ცოცხლად აჩვენებს ქართველურ ენათა განვითარების ერთ-ერთ ეტაპს, რომელიც სალიტერატურო ენაში დღეს დაჩრდილულია.

In the Svan language, which is characterized by both archaism and innovation, one of the noteworthy issues is the functions of the particle *-oγw/-ow (-mca)* and its relation to the hypotactic construction.

According to the well-known viewpoint (Sh. Dzidziguri), the subordination and subordinating connection with a conjunction between the main and subordinate clauses reflects a relatively late stage of language development. This theory is supported by the Svan language data, as connection without a conjunction is still common in this language even today (especially in the Lower Bal dialect, which is the least influenced by the literary language among the Svan dialects).

As is known, in the modern literary language, the particle *-mca* appears mainly in phraseology, in fossilized forms, and in oral speech (*tumca* “however”, *isemc* “may it’d...”, *netamc* “if only”...).

From this standpoint, the situation in Svan is drastically different. Obviously, the subjunctive mood forms of the verb (which substituted the indicative mood verbs with the *-mca* particle in Georgian) are also attested in Svan, but they are much less productive compared to Georgian, and the forms with *-mca* (*-oγw*, *-ow*) particle are still used in the screeves expressing the indicative mood.

The functions of the analytical particle can be summarized as follows:

A. In a simple sentence, like Georgian, it expresses the content of desire. That is why this type of phraseology (curse-blessing formulas, a vocabulary of toasts...) always contains analytical forms.

B. It can substitute the particles of other's speech;

C. In a compound subordinate clause, together with the Aorist II, they can form a connection without conjunction.

In the author's opinion, two circumstances contributed to the preservation of this type of construction in Svan oral speech:

1. The presence of differences from Georgian inferential screeves in the Svan language, which contain the understanding of conditionality (suspiciousness, unconfirmed events) and no longer require relevant conjunction (*rom* "that", *tu* "if", *tuki* "even if"...);

2. Active use of the constructions with *-mca* (*-oγw*, *-ow*) particle in modern Svan speech.

Thus, one of the important syntactic functions of the *-mca* particle can be considered to be the creation of a precondition for a subordination without conjunction; this, in the author's opinion, is important from the standpoint of diachronic prospect, because it vividly shows one of the development stages of the Kartvelian languages, which is overshadowed in the literary language today.

ინფორმაციული სტრუქტურა: თეორია და
იმპლემენტაცია

(გერმანულენოვანი, ზეპირი, სპონტანურად
პროდუცირებული ტექსტის მაგალითზე)

INFORMATION STRUCTURE: THEORY
AND IMPLEMENTATION

(ON THE EXAMPLE OF ORAL, SPONTANEOUSLY
PRODUCED GERMAN TEXT)

სოფიო მუჯირი

Sophie Mujiri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ტექსტის ინფორმაციული სტრუქტურა,
სეგმენტაცია, პროსოდია, სემანტიკა, კომპოზიცია

Keywords: information structure of the text, segmentation,
prosody, semantics, composition

ტექსტის ინფორმაციული სტრუქტურის შესწავლა გულისხმობს მისი კორელაციის კვლევას ტექსტის პროსოდიულ სტრუქტურასთან, პრაგმატიკასა და კომპოზიციასთან.

ინფორმაციული სტრუქტურის პრეისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული წინადადების, შემდეგში კი მიკრო- და მაკრო-ტექსტის თემა-რემული სტრუქტურის კვლევასთან, რომელიც თითქმის ყველა ლინგვისტურ მიმართულებასა და სკოლაში მიმდინარეობდა. მათგან უმთავრესად აღსანიშნავია ლოგიკურ-გრამატიკული და ფსიქოლოგიური (ა. არნო, კ. ლანსლო, პ. ნიკოლი, პ. პაული, პ. შტეინთალი, გ. გაბელენცი, კ. ბოოსტი და სხვ.), ლინგვისტურ-სისტემური (ვ. ჩეიფი, პ. სგალი, ვ. ბოგდანოვი, ი. ბარანოვი და სხვ.) და ფუნქციონალურ-ლინგვისტური კონცეფციები (ვ. მათეზუსი, ფ. დანეში, პ. ადამეცი, ჯ. ფირბასი, პ. სგალი და სხვ.). „წინადადების აქტუალური დანაწევრებისა“ (ვ. მათეზუსი) და „კომუნიკაციური დინამიზმის თეორიების“ (ჯ. ფირბასი) თვალსაზრისების ალტერნატივებად უნდა ჩავთვალოთ „ფორმალური ფოკუსის“ (ნ. ჩომსკი, რ. იაკენდოფი, ა. სტეჩოვი, ს. უმანი და სხვ.) და „ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული ცენტრების“ კონცეფციები (ი. ტორსუევა, ი. ლაპტევა, გ. ზოლოტოვა), ასევე „სემანტიკური პრედიკატის კონცეპტი“ (ნ. ჟინკინი, ა. ნოვიკოვი, ტ. დრიზდე, ბ. სტუპაკოვა და სხვ.).

ინფორმაციული სტრუქტურის მრავალმხრივი კვლევის მიუხედავად, დღემდე დაუზუსტებელი რჩება ისეთი საკითხები, როგორიცაა: თემის, რემის (ფოკუსის), ტრანსმისიის და მათი შემადგენელი კომპონენტების ობიექტური, კომპლექსური კრიტერიუმებით გამოყოფა, ტექსტის თემა-რემული სტრუქტურის კორელაცია ტექსტის იერარქიულ ერთეულებთან, ასევე თემა-რემის დისტრიბუციის კანონზომიერებები ზეპირ ტექსტში.

ჩვენი კვლევის მასალაა ზეპირი, სპონტანურად პროდუცირებული ტექსტი, რომელშიც მოსაუბრე დროის სიმცირის გამო, ნაკლებ ყურადღებას აქცევს მორფოსინტაქსური საშუალებების

შერჩევა-გამოყენებას. ასეთ ტექსტში მკვეთრად იზრდება ინტონაციის როლი. ემიტენტის კომუნიკაციური ინტენციის გადაცემა და მისი ადეკვატური აღქმა მსმენელის მიერ, ხორციელდება პროსოდიული სიგნალების მეშვეობით. პროსოდიამჟღერ ტექსტში წარმოადგენს ინფორმაციულად რელევანტური სეგმენტებისა და მათი საზღვრების რეფლექტირების საშუალებას. მოსაუბრის მიერ ტექსტის არტიკულაციური, პაუზალური სეგმენტაცია, რომელიც განპირობებულია პრაგმატული ფაქტორებით, საფუძველია ტექსტის ინფორმაციულ-პროსოდიულ სეგმენტებად დანაწევრებისათვის. ეს ინფორმაციულ-პროსოდიული სეგმენტები დაკავშირებული არიან როგორც ერთმანეთთან, ასევე ტექსტის თემა-რემულ დანაწევრებასთან, ტექსტის სემანტიკასთან, კომპოზიციასთან და ტექსტის იერარქიულ ერთეულებთან. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ასევე ინფორმაციულ-პროსოდიულ სეგმენტთა დისტრიბუციის თავისებურება ზეპირ სპონტანურ ტექსტში.

ლიტერატურა:

- Büring, D. (2006).** Intonation und Informationsstruktur. In: Hardarik Blüh-dorn, Eva Breindl und Ulrich H. Waßner (Hrsg): Verstehen. Grammatik und darüber hinaus. Berlin/New Jork: Mouton de Gruyter. 144-163.
- Fery, C. (2011).** Informationsstruktur: Begriffe und grammatische Korrelate In: Mapping zwischen Syntax, Prosodie und Informationsstruktur (Akten des 37. Linguisten-Seminars, Kyoto, Hrsg. japanische Gesellschaft für Germanistik). München. Iudikum Verlag GmbH. S.7-147.
- Hetland, Jorun & Molnar, Valeria.** Informationsstruktur und Reliefgebung. (2001). In: VII. Communication-theoretik prerequisites and language-independent tertia comparationis. S. 617-633.

The study of the information structure of the text implies the research of its correlation with the prosodic structure of the text, pragmatics and composition.

The background of the information structure is closely linked with the research of the sentence and the thematic-rhematic structure of the micro and macro text. Such research has been implemented in almost every linguistic direction and school. Out of these, special mention should be made of the following schools: logical-grammatical and psychologist (A. Arnaud, K. Lanslau, P. Nicol, H. Paul, H. Steintal, G. Gabelenz, K. Boost and others), linguistic-systematic (W. Chafe, P. Segal, Bogdanov, Baranov etc.) and functional-linguistic concepts (V. Matthesius, F. Danesh, P. Adamets, J. Firbas, P. Segal etc.). The alternatives of the concepts of „actual fragmentation of the sentence” (V. Matthesius) and „communicative dynamism” (J. Firbas) are the concepts of “Formal focus” (N. Chomsky, R. Jakendof, A. Stechov, S. Ulman etc.) and the communicative-informational centers of the text (I. Torsueva, O. Lapteva, G. Zolotova), as well as the concept of “semantic predicate” (N. Jinkin, A. Novikov, T. Drizde, B. Stupakova and so on).

Despite diverse research of the informational structure, there are several issues to be investigated, for instance: distinction of the theme, rheme (focus), transmission and their components based on objective criteria, correlation of the thematic-rhematic structure of the text with the hierarchical units, identification of the rules of distribution of theme and rheme in the oral text.

The material of our research is oral, spontaneous text in which the speaker, due to the lack of time, neglects the selection and use of appropriate morphosyntactic means. In such text, much depends on the intonation. The transfer of the communicative intention of the speaker and its adequate perception by the hearer is based on prosodic signals. In the oral text, prosody is the means for the reflection of informationally relevant segments and identification of their borders. The articulatory,

pausal segmentation of the text by the speaker, conditioned by the pragmatic factors, is the basis for the fragmentation of the text into informational-prosodic segments. These informational-prosodic segments are interconnected and also connected with the thematic-rhematic fragmentation of the text, its semantics, composition and hierarchical units. Our research also aims to identify the peculiarities of distribution of informational-prosodic segments in a spontaneous oral text.

References:

- Büring, D. (2006).** Intonation und Informationsstruktur. In: Hardarik Blüh-dorn, Eva Breindl und Ulrich H. Waßner (Hrsg): Verstehen. Grammatik und darüber hinaus. Berlin/New Jork: Mouton de Gruyter. 144-163.
- Fery, C. (2011).** Informationsstruktur: Begriffe und grammatische Korrelate In: Mapping zwischen Syntax, Prosodie und Informationsstruktur (Ak-ten des 37. Linguisten-Seminars, Kyoto, Hrsg. japanische Gesellschaft für Germanistik). München. Iudikum Verlag GmbH. S.7-147.
- Hetland, Jorun & Molnar, Valeria.** Informationsstruktur und Reliefgebung. (2001). In: VII. Communication-theoretik prerequisites and language-in-dependent tertia comparationis. S. 617-633.

სონორ თანხმომავანთა ფონოტაქტიკური
მასასიათებლები

(ქართულ-მეგრული კონსონანტური
კომპლექსების მიხედვით)

PHONOTACTIC CHARACTERISTICS OF SONORANT
CONSONANTS

(BASED ON THE GEORGIAN AND MEGRELIAN
CONSONANT CLUSTERS)

ეთერ სოსელია

Ether Soselia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფონოტაქტიკა, სონორი, სონანტი,
თანხმომავანთ-კომპლექსები

Keywords: phonotactics, sonorant, sonant, consonant clusters

როგორც ცნობილია, საერთოქართველურში ხმოვანი და თანხმოვანი ფონემების გვერდით რეკონსტრუირებულია სონანტი ფონემები */ჲ, ჴ, მ, ნ, რ, ლ/, რომლებიც პოზიციის მიხედვით ვლინდებიან მარცვლოვანი *[ი, უ, მ, ნ, რ, ლ] ან უმარცვლო */ჲ, ჴ, მ, ნ, რ, ლ] ალოფონების სახით. */მ, ნ, რ, ლ/ სონანტი ფონემების რეფლექსები განსხვავებულია ქართულსა და მეგრულში.

სწორედ განსხვავებულმა რეფლექსებმა განაპირობა ის, რომ სონორ თანხმოვანთა დისტრიბუცია თანხმოვანთკომპლექსებში განსხვავებულია ამ ორ ენაში და, ამასთანავე, საგრძნობია განსხვავება კონსონანტური კომპლექსების რაოდენობისა თუ თავად კომპლექსის სიგრძის თვალსაზრისით. მეგრულში კომპლექსის მაქსიმალური სიგრძე არის 4, ხოლო ქართულში – 6.

საქმე ის გახლავთ, რომ საერთოქართველურში სონანტი ფონემა თანხმოვნებს შორის ან თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (CSC ან CS მიმდევრობებში, სადაც C აღნიშნავს ჩქამიერ თანხმოვანს, ხოლო S – სონორს) რეალიზდებოდა მარცვლოვანი ალოფონის სახით. რამდენადაც */მ, ნ, რ, ლ/ სონანტთა რეფლექსები ქართულში სონორი თანხმოვნებია, ქართულში ეს მიმდევრობები შენარჩუნდა კომპლექსის სახით; მეგრულში აღნიშნული მიმდევრობები გაითიშა ხმოვნით, რამდენადაც */მ, ნ, რ, ლ/ სონანტთა მარცვლოვანი ალოფონების რეფლექსები მეგრულში VS ტიპის მიმდევრობებია (ხმოვანი სონორის წინ განვითარებულია მარცვლოვნობის ხარჯზე).

გასაგებია, რომ მეგრულ თანხმოვანთკომპლექსებში /რ, ლ, მ, ნ/ სონორები საერთოდ არ გვხვდება C– (ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო) პოზიციაში, მიუხედავად იმისა, ეს C კომპლექსის პირველი თუ რომელიმე შიდა წევრია.

მეგრულისაგან განსხვავებით, ქართულ თანხმოვანთკომპლექსებში სონორების დისტრიბუცია საკმაოდ მძლავრია, მაგალითად: ორწევრა კომპლექსების 65%-მდე სონორი თანხმოვნების შემცველია C₁-სა თუ C₂ პოზიციაში; სამწევრა კომპლექსებში სონორები, ძირითადად, ჰარმონიული კომპლექსების წინა თუ

მომდევნო პოზიციაში დასტურდება და შეიძლება მათი დალაგება დისტრიბუციული სიმძლავრის მიხედვით ($r \rightarrow l \rightarrow m \rightarrow n$); მრავალწევრა (4 ან მეტი რაოდენობის თანხმოვნის შემცველ) კომპლექსებში დისტრიბუციული სიმძლავრით გამოირჩევა /რ/ სონორი (დასტურდება ყველა პოზიციაში), /მ/ გვხვდება მხოლოდ C_1 -ის პოზიციაში, ხოლო /ნ, ლ/ სონორები მხოლოდ კომპლექსის ბოლო წევრად ჩნდება.

დაბოლოს, ბუნებრივია, რომ მეგრულისათვის საერთოდ დაუშვებელია კომპლექსი ორი სონორით, რაც ქართულში მრავალწევრა კომპლექსებში დასტურდება.

ლიტერატურა:

ბუცხრიკიძე, მ. – Butskhrikidze, M. (2002). The Consonant Phonotactics of Georgian, Utrecht: LOT.

გამყრელიძე, თ., მაჭავარიანი, გ. (1965). სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი: „მეცნიერება“.

გუდავა, ტ. გამყრელიძე თ. (1981). თანხოვანთკომპლექსები მეგრულში, აკაკი შანიძეს (კრებ.), 202-243, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

As it is known, in the Common-Kartvelian, alongside with vowel and consonant phonemes, sonant phonemes */j, w, m, n, r, l/ are reconstructed, which, depending on their positions, appear either as syllabic *[i, u, m̥, n̥, r̥, l̥] or non-syllabic *[j, w, m, n, r, l] allophones. Reflexes of */m, n, r, l/ sonant phonemes are different in Georgian and Megrelian.

The different reflexes led to the fact that the distributions of sonorant consonants in consonant clusters differ in those two languages, and there is a noticeable difference in terms of the number of consonant clusters or the length of the clusters as well. The maximum length of the cluster in Megrelian equals to 4, and in Georgian it equals to 6.

The fact is that in Common-Kartvelian the sonant phoneme between the consonants or in the position following the consonant (in CSC or CS sequences, where C stands for a consonant, and S for a sonant) was realized as a syllabic allophone. As far as the reflexes of the */m, n, r, l/ sonants are sonorant consonants in Georgian, these sequences were preserved as consonant clusters; in Megrelian, the mentioned sequences have been divided by inserting a vowel, as the reflexes of the sonants's syllabic allophones [ṁ, ṅ, ṛ, ḷ] are VS type sequences in Megrelian (a vowel before the sonorant is developed at the expense of syllabicity).

It is clear that in Megrelian consonant clusters, /r, l, m, n/ sonorants are not found at all in the C- position (following the consonant), regardless of whether it is the first or any internal member of the cluster.

Unlike Megrelian, the distribution of sonorants in the Georgian consonant clusters is quite wide, and among them, /r/ sonorant (attested in all positions) is distinguished by its distributional power.

Finally, it is natural that a cluster with two sonorants is not allowed for Megrelian at all, but it is attested in the Georgian multi-member clusters.

References:

- Butskhrikidze, M. (2002).** The Consonant Phonotactics of Georgian, Utrecht: LOT.
- Gamkrelidze, Th., Machavariani, G. (1965).** sonantta sistema da ablauti kartvelur enebshi. [The System of Sonants and Ablaut in Kartvelian Languages]. Tbilisi: Mecniereba.
- Gudava, T., Gamkrelidze, Th. (1981).** tankhmovantkompleksebi megrulshi. [Consonant Clusters in Megrelian], Collection Dedicated to Akaki Shanidze, 202-243, Tbilisi: press of TSU.

ავტორისული სიტყვის შემცველი
ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურისა
და სტატუსის საკითხთა შესახებ ქართული
ანდაზების მაგალითზე*

ON THE STRUCTURE AND STATUS OF SUBORDINATE
CLAUSES CONTAINING THE AUTHOR'S WORDS
IN GEORGIAN PROVERBS**

რამაზ ქურდაძე

Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, მთავარი
წინადადება, დამოკიდებული წინადადება, სხვათა სიტყვის
ნაწილაკი

Keywords: Hypotactic construction, main clause, subordinate clause,
direct speech particle

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“ (FR-21-352) ფარგლებში.

** The paper has been implemented within the framework of a project “Information Structure and the Hypotactic Patterns of Kartvelian Languages” (FR-21-352) financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

ავტორისეულ სიტყვიანი თუ წინადადებიანი პირდაპირი ნათქვამის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემული ანდაზა სტრუქტურული თვალსაზრისით გაანალიზების ორ შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ანდაზა: „ბელტი ტიროდა: წვიმა რო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებაო“? ორგვარად შეგვიძლია გავარჩიოთ:

1. განვიხილოთ ერთ წინადადებად, რომელშიც **„ბედგი გიხოდა“** მთავარია, ხოლო **„წვიმა ხო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებაო“** – დამოკიდებული. შემდეგ კი დამოკიდებულში, თავის მხრივ, გამოვყოთ მთავარი: **„აი, იმ ქვას რა ეშველებაო“**, რომელსაც თავისი პირობითი დამოკიდებული აქვს და პასუხობს კითხვებზე: რა შემთხვევაში? რა პირობებში? – **„წვიმა, ხომ მოვიდეს“**. ამგვარი გარჩევა არ ჩანს ბოლომდე მართებული, ჯერ ერთი, გამოდის, რომ ერთ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ორი სხვადასხვა მთავარი წინადადება გვაქვს; მეორეც, ასეთი მიდგომით ყველა ავტორისეული სიტყვის თუ წინადადების მქონე ანდაზა ჰიპოტაქსური კონსტრუქციისა გამოდის.

2. განვიხილოთ ორ სხვადასხვა წინადადებად, რომელშიც **„ბედგი გიხოდა“** ავტორისეული სიტყვები, ავტორისეული წინადადებაა, სტრუქტურულად მარტივი, ხოლო მომდევნო ნაწილი კი – **„წვიმა ხო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებაო“** ჰიპოტაქსური კონსტრუქციაა. ამგვარ გარჩევასაც გარკვეული უმართებულობა ახლავს, რადგან ანდაზა, როგორც პარემიული ერთეული, ერთგვარი მთლიანობაა და ამ თვალსაზრისით მისი ნაწილების გათიშვა არ შეიძლება.

ქართულის გარდა, ეს საკითხი ამგვარადვე პრობლემატურია ზოგი სხვა ენისთვისაც. ქართულს კი, სწორედ თავისი მდიდარი მორფოლოგიის წყალობით, შეუძლია ზოგი დამატებითი არგუმენტი წარმოადგინოს ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისთაგან ერთ-ერთის სასარგებლოდ.

ამ მიზნით, მოხსენებაში ქართული ანდაზების მასალაზე დაყრდნობით გამოვლენილია სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის დამატებითი სინტაქსური ფუნქცია, რითიც ეს ელემენტი ავტორისეულ სიტყვიანი თუ წინადადებიანი პირდაპირი ნათქვამის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემულ ანდაზებში მკაფიოდ ავლებს ზღვარს ავტორისეულ წინადადებასა და პირდაპირ ნათქვამს შორის. ამის გამო, ეს წინადადებები სინტაქსური თვალსაზრისით შეუძლებელია ერთ მთლიან სტრუქტურულ ერთეულად განვიხილოთ, რაც სწორედ მეორე ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს; თუმცა პარემიული თვალსაზრისით ისინი, რასაკვირველია, ერთ მთლიან ოდენობას წარმოადგენენ.

ლიტერატურა:

ლეჟავა, ლ. (1959). ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 139-267. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: „განათლება“.

ქურდაძე, რ. (2022). სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკიან ფორმათა ადგილისათვის ქართული ანდაზების ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები. <https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1893>

შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III. თბილისი: „თსუ გამომცემლობა.“

ქართული ხალხური ანდაზები და გამონათქვამები. <https://kids.ge/sayings>

The proverbs containing author's words or sentences expressed by hypotactic constructions can be structurally analyzed in two ways. For instance, the proverb: ბელტი ტიროდა: წვიმა რო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებათ *belt'i t'iroda: ts'vima ro movides, ai, im kvas ra eshvelebao* "a clod was weeping, if it rains, what will become of that stone?" can be analyzed as follows:

1. It can be viewed as one sentence, in which **ბელტი ტიროდა *belt'i t'iroda* "a clod was weeping"** is the main clause, whereas **წვიმა ხო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებათ *ts'vima ro movides, ai, im kvas ra eshvelebao* "if it rains, what will become of that stone"** is the subordinate clause. The subordinate clause itself can be divided into the main clause: **აი, იმ ქვას რა ეშველებათ *ai, im kvas ra eshvelebao* "what will become of that stone"**, which has its own clause of condition answering the questions: on what condition? In which case? – **წვიმა, ხომ მოვიდეს *ts'vima ro movides* "if it rains"**. Such analysis does not seem reasonable: firstly, according to such analysis, there are two main clauses in one hypotactic construction; secondly, according to this approach, all proverbs containing the author's words or sentences should be considered hypotactic constructions.

2. The proverb can be viewed as two separate sentences, out of which **ბელტი ტიროდა *belt'i t'iroda* "a clod was weeping"** is a sentence of simple structure which contains the author's words, whereas the following part – **წვიმა ხო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებათ *ts'vima ro movides, ai, im kvas ra eshvelebao* "if it rains, what will become over stone"** is a hypotactic construction. This kind of analysis has its shortcomings, because a proverb as a paremic unit is a whole entity, and therefore, it should not be divided into separate parts.

The above-mentioned issue represents a problem for other languages as well. As for Georgian, due to its rich morphology, this language can offer additional arguments in favour of either of the above-mentioned approaches.

Based on the material of Georgian proverbs, the paper reveals an additional syntactic function of the Georgian reported speech particle **-m /-o/**. This element enables a clear distinction in the proverbs of hypotactic construction with author's words or sentences containing direct speech, namely, the distinction is made between the author's sentence and the direct speech. Based on the above-mentioned, we can conclude that, from the syntactic viewpoint, such sentences cannot be considered as one whole structural unit. This fact supports the second approach. However, from the paremic viewpoint, the clauses comprise one whole entity.

References:

- Lezhava, L. (1959).** kartuli andazebis ena, kartvelur enata strukturis sakitkhebi, I. [The Language of the Georgian Proverbs, The Issues of the Structure of the Kartvelian Languages, I], 139-267. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.
- Kvachadze, L. (1988).** tanamedrove kartuli enis sintaksi. [Syntax of the Contemporary Georgian Language]. "Ganatileba".
- Kurdadze, R. (2022).** On the place of forms with the direct speech particle **-m -o** in the Hypotactic constructions of Georgian proverbs, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, 16TH faculty scientific conference in honor of the 100th anniversary of the birth of Mariam Lortkioanidze, abstracts.
<https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1893>
- Shanidze, A. (1980).** kartuli enis gramatikis sapudzvlebi, t. III. [Basis of the Georgian Language Grammar, vol. III]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- kartuli khalkhuri andazebi da gamonatkvamebi. [Georgian Folck Proverbs and Expressions] <https://kids.ge/sayings>

**ტერმინები ფძის და სპόσταის
ქრისტოლოგიური დავის მთავარი
საკითხი ბერძნულსა და სირიულში (V-VI სს.)
TERMS ფძის AND სპόσταის – MAIN ISSUE OF
CHRISTOLOGICAL CONTROVERSY IN GREEK AND
SYRIAC (5TH-6TH CC.)**

მარიამ ჩაჩიბაია
Mariam Chachibaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფძის, სპόσταის, kyana/ფძის, იშოიაბი,
სევეროს ანტიოქელი

Keywords: ფძის, სპόσταის, kyana/ფძის, Isho'yahb, Severos of
Antioch

ბერძნული ტერმინები **φύσις** და **ὑπόστασις**, რომლებიც V-VI საუკუნეებში ქრისტოლოგიური დავის მთავარი საკითხი იყო, თავის მხრივ, წარმოქმნიდა გარკვეულ პრობლემებს როგორც ბერძნულში, ასევე სირიულში. ცნობილია კათალიკოს იშოიან II-ის უარყოფითი დამოკიდებულება ქალკედონის კრების განმარტებებისადმი, როცა საუბარი იყო ორ ბუნებასა და ერთ ჰიპოსტასზე. ასეთივე უკმაყოფილებას გამოთქვამდა უდიდესი ღვთისმეტყველი სევეროს ანტიოქელიც.

რა თქმა უნდა, სევეროსსა და იშოიანს განსხვავებული ამოსავალი წერტილი აქვთ: პირველი მათგანი ცალსახად მიიჩნევს ერთიანობას განკაცებულ ქრისტეში, ხოლო მეორე – აბსოლუტურ რეალობად მიიჩნევს ორბუნებიანობას, ღვთაებრივსა და კაცებრივს ერთსა და იმავე განკაცებულ ქრისტეში. მაგრამ, გარდა განსხვავებული ამოსავალი წერტილისა, ამ ორ ღვთისმეტყველს სხვადასხვაგვარად ესმით ამ ტექნიკური ტერმინების შინაარსი. ორაზროვნება არის როგორც ბერძნულში, ასევე სირიულში; თუმცა ამ უკანასკნელში ჩნდება დამატებითი სირთულე დაკავშირებული სირიული ეკვივალენტების სხვადასხვა კონოტაციასთან. შეიძლება ითქვას, რომ სევეროსისათვის **φύσις**, ფაქტობრივად, არის **ὑπόστασις**-ის სინონიმი. ხოლო ტერმინის ამგვარი გაგება ქალკედონის დიოფიზიტური ფორმულისათვის აშკარად მიუღებელია. იშოიანისათვის კი პირიქით, **kyana/φύσις** გაცილებით ახლოს არის შინაარსით **οὐσία**-სთან ვიდრე **ὑπόστασις**-თან და, შესაბამისად, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დიოფიზიტურ პოზიციას.

ლიტერატურა:

- Sako, L. (1983).** Lettre christologique du Patriarche syro-oriental Isho'yahb II de Gdala, Rome.
- Duval, R. (1905).** Isho'yahb Patriarcha, Liber Epistularum, CSCO 11-15, Scriptorum Syri.
- Severi Antiocheni orationes ad Nephaliium (1949).** ed. J. Lebon, CSCO 119, Scriptorum Syri, Babai, Liber de Unione.

Greek terms **φύσις** and **ὑπόστασις**, which constituted the main issue of the Christological controversy in the 5th-6th centuries, in their turn, caused certain problems both in Greek and Syriac. The negative attitude of Catholicos Isho'yahb II is known towards the definitions of the Council of Chalcedon, when the discussion concerned two natures and one hypostasis. Great theologian Severos of Antioch also expressed the same disapproval.

Certainly, Isho'yahb and Severos have different starting points: the former unequivocally considers unity in incarnated Christ, and the latter considers as absolute reality the possession of two natures, divine and human in one and the same incarnated Christ. But, in addition to different starting points, these two theologians also understand differently the meaning of these technical terms. Ambiguity is both in Greek and in Syriac. However, in the latter, an additional difficulty appears which is related to the different connotations of Syriac equivalents. It may be noted that for Severos **φύσις** is in fact a synonym of **ὑπόστασις**. Such an interpretation of the term is definitely unacceptable for the Dyophysite wording of Chalcedon. For Isho'yahb, on the contrary, **kyana/φύσις** according to the meaning is much closer to **οὐσία** than to **ὑπόστασις**. Hence, the Dyophysite position is given principal importance.

References:

- Sako, L. (1983).** Lettre christologique du Patriarche syro-oriental Isho'yahb II de Gdala, Rome.
- Duval, R. (1905).** Isho'yahb Patriarcha, Liber Epistularum, CSCO 11-15, Scriptores Syri.
- Severi Antiocheni orationes ad Nephaliium (1949).** ed. J. Lebon, CSCO 119, Scriptores Syri, Babai, Liber de Unione.

იახონტოვის სია და იბერიულ-კავკასიური
ენები

YAKHONTOV'S LIST AND THE IBERIAN-CAUCASIAN
LANGUAGES

მერაბ ჩუხუა

Merab Chukhua

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იბერიულ-კავკასიური ენები, გენეალოგიური
კლასიფიკაცია, ენათა დივერგენცია

Keywords: Iberian-Caucasian languages, genealogic classification,
language divergence

იბერიულ-კავკასიური ენების გენეტიკური ურთიერთობა და ამ ენების გენეალოგიური კლასიფიკაციის რეალობა დადასტურებულია მათ ნათესაობრივ ურთიერთობათა კვლევის პრინციპის (მეთოდების) მიხედვით. ამასთან, იკვ-თა საერთო წინარე ენიდან მომდინარეობის მტკიცება ურთულესი ამოცანაა, ვინაიდან ვითარება რთულდება მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო; ესენია: ა) მორფემების ძირითადად ერთმარცვლიანი შედგენილობა, რაც ძალაშია აღსადგენი ყველა იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ფუძენისათვის; ბ) შესადარებელ ლექსიკურ ერთეულთა განსაკუთრებული სიმოკლე ზმნებში, რაც ამცირებს ვერიფიკაციის ხარისხს; გ) ამას ერთვის კავკასიის მთიანი ლანდშაფტი, რამაც გაართულა ამა თუ იმ ლოკაციაზე ხალხთა გაერთიანება და ხელი შეუწყო ენებს შორის განსხვავების პროცესების დაჩქარებას, ასევე, სინქრონიულ რეჟიმში კონვერგენციული მოვლენების ჩასახვა-განვითარებას. ამას თან ახლავს კიდევ ერთი ლინგვისტური წინააღმდეგობა, რომ კავკასიური ენები სულაც არ ვითარდებიან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მათი განცალკევების შემდეგ პერიოდშიც. ამდენად, თუ ისინი განაგრძობენ ფუნქციონირებას მომიჯნავე ტერიტორიებზე, იმ პირობებში, რომლებიც საშუალებას იძლევა კონტაქტი და ურთიერთგავლენა სტაბილური იყოს, მაშინ მათ ლექსიკონში განსხვავებები მოსალოდნელზე ნაკლები იქნება, ხოლო დივერგენციისათვის გათვლილი დრო რეალურზე უფრო მცირე აღმოჩნდება. აქედან დასკვნა: გლოტოქრონოლოგიის ძირითადი დებულებები არ შეესაბამება სინამდვილეს ყველა შესაძლო შემთხვევისთვის. ძირის ბგერითი შედგენილობის სიმარტივემ და მისმა შემდგომმა ტრანსფორმაციებმა, ძირის სიმოკლესთან ერთად, განაპირობეს ისტორიულად არსებული რეალური სურათის გაბუნდოვანება იბერიულ-კავკასიურ ენებში, რაც გადაულახავ წინააღმდეგობად სულაც არ გვესახება; თუ განვიხილავთ კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზის სამ ძირითად თეორიას – მიგრაციულს, ავტოქთონურს და მიგრაციულ-ავტოქთონურს, – ჩვენ ვიზიარებთ მეორე თეორიას, რაც არ უგულებელყოფს

მიგრაციის თეორიის გამოყენების შესაძლებლობასაც ცალკეულ ხალხებთან მიმართებაში. მაგალითად, ვარაუდს, რომ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ტერიტორიაზე პრეისტორიულ ხანაში ცხოვრობდნენ აფხაზეთისა და ქართველების წინაპრები, საკმაოდ მყარი არგუმენტაცია მოეპოვება. ვინაიდან აფხაზეთში ენდემურ ენებზე ახსნადი ონომასტიკური სახელწოდებების შენახვა უნდა მიუთითებდეს ამ ტერიტორიაზე აფხაზთა [= აფსუათა] და ქართველთა წინაპრების საკმაოდ ხანგრძლივ თანაცხოვრებაზე უძველესი პერიოდებიდან დღემდე. იგივე შეიძლება ითქვას დაღესტნურ ენათა და ხალხთა ურთიერთმიმართებაზეც, რაც ამავდროულად ორსავე განსახილველ შემთხვევაში არ გამორიცხავს, პრეისტორიულად ხალხთა დიდი მიგრაციის თეორიაზე დაყრდნობით, იმ შესაძლებლობასაც, რომ თანამედროვე კავკასიელმა ხალხებმა, სანამ ამჟამინდელ საცხოვრებელ ტერიტორიებზე აღმოჩნდებოდნენ, განსახლების გრძელი გზა გამოიარეს.

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება განხილული იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემა იახონტოვის ცნობილი სიის მიხედვით.

The genetic relationship of the Iberian-Caucasian languages and the reality of the genealogical classification of these languages is confirmed according to the principle (methods) of researching their kinship relationships. However, proving that ICE comes from a common ancestor language is a very difficult task. The situation is getting complicated due to a number of objective reasons. These are: a) mainly monosyllabic composition of morphemes, which is valid for all Iberian-Caucasian groups; b) special brevity of comparable lexical units in verbs, which reduces the quality of verification; c) the mountainous landscape of the Caucasus is attached to this, which does not contribute to the unification of peoples in one or another location while contributed the acceleration of the processes of differentiation between languages

as well as the conception and development of convergent events in a synchronous mode. This is accompanied by another linguistic contradiction that the Caucasian languages do not necessarily develop independently of each other even after their separation. Thus, if they continue to operate in contiguous areas, under conditions that allow contact and interaction to be stable, then the differences in their vocabulary will be less than expected, and the estimated time for divergence will turn out to be shorter than it really is. Hence the conclusion: the basic tenets of glottochronology are not true for all possible cases. The simplicity of the phonemic composition of the root and its subsequent transformations, together with the shortness of the root, led to the blurring of the historically existing real picture in the Iberian-Caucasian languages, which is not at all an insurmountable contradiction.

If we consider the three main theories of the ethnogenesis of the peoples of the Caucasus – migratory, autochthonous and migratory-autochthonous – we share the second theory, which does not ignore the possibility of using the theory of migration in relation to individual peoples. For example, the assumption that the ancestors of the Abkhazians and Georgians lived in the territory of modern Western Georgia (Abkhazia) in prehistoric times has quite solid arguments. The preservation of onomastic names that can be explained in the endemic languages in Abkhazia should indicate the long-term coexistence of the ancestors of the Abkhazians [= Apsuas] and Georgians in this area, from ancient times to the present day. The same can be said about the relationship between Dagestanian languages and peoples, which, at the same time, in both considered cases, based on the theory of prehistoric great migration of peoples, does not exclude the possibility that the modern Caucasian peoples, before finding themselves in the current residential areas, went through a long way of settlement.

In the paper, the problem of the kinship of the Iberian-Caucasian languages according to the famous list of Yakhontov will be discussed in more detail.

პროთეზასთან დაკავშირებული მოვლენები
თურქულში

PROTHESIS IN TURKISH

მარია ჯიქია

Marika Jikia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თურქული ენები, პროთეზა, ეპენტეზა
Keywords: Turkic languages, prothesis, epenthesis

თურქულ ენებს თავიანთი განვითარების განმავლობაში ყოველთვის ახასიათებდათ სრულხმოვნობა, რასაც განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინარჩუნებენ ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვებში. მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა თურქული მოდგმის ადამიანთათვის გადაუღახავი არტიკულაციური მომენტია. ამის გამოა, რომ ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვები მარცვალს CCV(C) შემადგენლობით არ შეიცავენ. ამავედროულად მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი არცთუ იშვიათად გვხვდება როგორც ნასესხებ, ისე საკუთრივ თურქულ სიტყვებში. შდრ. თვით ხალხის დასახელება – Türk (ანუ მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი დაძლეულია).

თანხმოვანთკომპლექსებით (ორი ან მეტი თანხმოვნით) დაწყებული ნასესხები სიტყვების ადაპტაცია თურქულ ენებში ორი გზით ხორციელდება – პროთეზითა და ეპენთეზით. მოხსენებაში მხოლოდ პროთეზას განვიხილავთ.

პროთეზა < ბერძნული prothesis ‘წინ დაყენება’ – ესაა დამატებითი ბგერის (როგორც თანხმოვნის, ასევე ხმოვნის) გაჩენა სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისში. თურქული ენების შემთხვევაში დამატებითი ბგერა ერთ-ერთი ვინრო ხმოვანია (i, u, ü, a) მარცვლის დასაწყისში ორთანხმოვნიან სიტყვას წინ დაემატება ვინრო ხმოვანი და ახალ მარცვალს წარმოქმნის კომპლექსის პირველ თანხმოვანთან. მაგ.: რუს. стакан – აზერბ. istakan; ფრანგ. statistique – თურქ. istatistik ‘სტატისტიკა’, იტალ. sconto – თურქ. iskonto ‘ფასდაკლება’, ინგლ. stop – თურქ. istop ‘გაჩერება’ და სხვ.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში (1595 წ.) ორი ქართული ტოპონიმი შეგვხვდა პროთეტული გათურქულებული ფორმით: ისტეფანწმინდა – استيفانزمنده İstefänzmnda<სტეფანწმინდა და ისკარბ – اسكارب iskarb < სკარები.

აქვე შევჩერდებით პროთეზის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ვინრო ხმოვანი წინ დაემატება ძირს, ახალი მარცვალი წარმოიქმნება, თუმცა სიტყვა იწყება არა ორი თანხმოვნით, არამედ – ერთით, კერძოდ კი, /r/ თანხმოვნით. საკუთრივ თურქული სიტყვა /r/-თი არ იწყება: Rum – Urum’ ბერძენი; იტალ. roba – თურქ. urba ‘სამოსი, ტანსაცმე-ლი, კაბა’. არაბ. rub’ – ر تურქ. urup ‘(ერთი) მეოთხედი’ და სხვ.

The Turkic languages throughout their development have always been characterized by vowelfulness, which is preserved at the present stage of development in the words of the Turkic origin. The pronunciation of two or more consonants at the beginning of a syllable is an irresistible moment of articulation for people of Turkish origin and because of this, words of Turkic origin do not contain the syllable CCV(C). At the same time, two consonants at the end of a syllable are not uncommon in both borrowed and Turkish words, cf. the very name of the people is Türk; that is, two consonants are not unusual at the end of a syllable).

The adaptation of borrowed words beginning with consonant complexes (two or more consonants) in Turkish is carried out in two ways – either by prothesis or epenthesis. In the report we will discuss some prothesis facts.

Prothesis < Greek prothesis ‘to put in front’ is the appearance of an additional sound (both consonant and vowel) at the absolute beginning of a word. In the case of Turkic languages, one of the narrow vowels (i, ı, ü, u) is an additional sound. At the beginning of a syllable, a narrow vowel is added before a two-consonant word and forms a new syllable with the first consonant of the compound. For example: Russian stakan – Azerbaijani istakan ‘glass’; French statistics – Turkish istatistik ‘statistics’, Italian skonto – Turkish iskonto ‘discount’, English stop – Turkish istop ‘to stand’ and others.

In the Grand Registry of the province of Gurjistan (1595), we met two Georgian toponyms in the prothetic Türkish form: استفانزمنده İstefānzında< Georgian /stephanc‘minda/, and the skarebi was similar اسکارب İskârb.

Here we will dwell on the case of prothesis, when a narrow vowel is added to the root, a new syllable is formed, although the word does not begin with two consonants, but with one, namely the consonant /r/. Turkish words do not start with /r/: Rum- Urum “Greek”; Ital. robe – Turk. urba ‘clothes, clothing, dress’. Arabic rub’ – ربع Türk. urup <(one) quarter> etc.

სარჩევი Table of Contents

რევაზ აბაშია	3
ქართველური ფუძეების დიფერენციაციის ზოგიერთი საკითხი. II Revaz Abashia Some Issues of the Differentiation of the Common Kartvelian Parent Language. II	
რუსუდან ასათიანი	9
ფონემათა დისტრიბუცია ქართულში გავრცელებულ საკუთარ სახელებში: ფონეტიკური სიმბოლიზმი? Rusudan Asatiani Consonants Distribution in Georgian Personal Proper Nouns: Phonetic Symbolism?	
თინათინ ბოლქვაძე	13
კვლავ მეგრული „კუდიანი“ ანბანის შესახებ Tinatin Bolkvadze Again about the Megrelian “tailed” Alphabet	
მარინე ივანიშვილი	19
ეტიმოლოგიური ძიებანი: კაცი, ადამიანი Marine Ivanishvili Etymological Research: <i>k'aci</i> (man), <i>adamiani</i> (human)	
ივანე ლეჟავა	23
ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი Ivane Lezhava Togo Gudava – Scholar and Teacher	

რომან ლოლუა	27
კავკასიის ალბანური ლექსიკა (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)	
Roman Lolua	
Caucasian Albanian Vocabulary (Historical-comparative Analysis)	
მაია ლომია	31
სინტაქსური საზღვრის გადანევის საკითხი მეგრულში -ნი კავშირ-ნაწილაკიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მიხედვით	
Maia Lomia	
The Issue of Moving the Syntactic Boundary in Megrelian Based on the Hypotactic Construction with Conjunction-Particle -ნი /-ni/	
ქეთევან მარგიანი	35
-მცა (-ოღჳ, -ოჳ) ნაწილაკიანი ფორმები და მისი მიმართება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციასთან	
Ketevan Margiani	
The Forms with -mca (-oγw, -ow) Particle and its Relationship with Hypotactic Construction	
სოფიო მუჯირი	39
ინფორმაციული სტრუქტურა: თეორია და იმპლემენტაცია (გერმანულენოვანი, ზეპირი, სპონტანურად პროდუცირებული ტექსტის მაგალითზე)	
Sophie Mujiri	
Information Structure: Theory and Implementation (on the example of oral, spontaneously produced German text)	
ეთერ სოსელია	45
სონორ თანხმოვანთა ფონოტაქტიკური მახასიათებლები (ქართულ-მეგრული კონსონანტური კომპლექსების მიხედვით)	
Ether Soselia	
Phonotactic Characteristics of Sonorant Consonants (Based on the Georgian and Megrelian consonant clusters)	

რამაზ ქურდაძე	49
ავტორისეული სიტყვის შემცველი ქვეწყობილი წინდადების სტრუქტურისა და სტატუსის საკითხთა შესახებ ქართული ანდაზების მაგალითზე	
Ramaz Kurdadze	
On the Structure and Status of Subordinate Clauses Containing the Author's Words in Georgian Proverbs	
მარიამ ჩაჩიბაია	55
ტერმინები <i>φύσις</i> და <i>ὑπόστασις</i> ქრისტოლოგიური დავის მთავარი საკითხი ბერძნულსა და სირიულში (V-VI სს.)	
Mariam Chachibaia	
Terms <i>φύσις</i> and <i>ὑπόστασις</i> – Main Issue of Christological Controversy in Greek and Syriac (5 th -6 th cc.)	
მერაბ ჩუხუა	59
იახონტოვის სია და იბერიულ-კავკასიური ენები	
Merab Chukhua	
Yakhontov's List and the Iberian-Caucasian Languages	
მარიკა ჯიქია	63
პროთეზასთან დაკავშირებული მოვლენები თურქულში	
Marika Jikia	
Prothesis in Turkish	

დამკაბადონებელი

ნინო ვაჩეიშვილი

